მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დამატება

კვლევის აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2020 წლის ბოლოს დაიწყო ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში კვლევა. კვლევა ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა მიმდინარეობს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) შერჩევის საფუძველზე.

კვლევის მიდგომა ემყარება 1 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე რესპონდენტებისაგან განმეორებით ინფორმაციის შეგროვებას (პანელური კვლევა).

კვლევის ფარგლებში მონაცემები გროვდება როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებში. ქვეყნის მასშტაბით კვლევის მეექვსე ტალღისთვის შერჩევის ზომა განსაზღვრულია 1,996 შინამეურნეობით, მათ შორის ქალაქად 962 ერთეულით, ხოლო სოფლად 1,034 ერთეულით. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზირებული სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით (CATI).

კვლევის მეექვსე ტალღის საველე სამუშაოები ჩატარდა 2021 წლის დეკემბერში. გამოპასუხების დონემ შეადგინა 82.0 პროცენტი, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 80.5 პროცენტი, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 83.5 პროცენტი.

კვლევის მეექვსე ტალღის საკვანძო გზავნილები

1. ინტერნეტთან წვდომა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

- შინამეურნეობების 14.8%-ს არ აქვს ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში. ასეთი შინამეურნეობების წილი სოფლად 2.4-ჯერ აღემატება ქალაქის მაჩვენებელს, 22.5% და 9.3% შესაბამისად. ქვეყნის დონეზე აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა.
- შინამეურნეობების მხოლოდ 60.4% აქვს საკუთრებაში კომპიუტერი ან პლანშეტი. ასეთი შინამეურნეობების წილი ქალაქად 72.7%, ხოლო სოფლად 43.3% შეადგენს. მობილური ტელეფონი საკუთრებაში აქვს შინამეურნეობების 99.9%-ს.

2. შინამეურნეობების შემოსავლები

- შინამეურნეობების 1.8 პროცენტში, ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით 2021 წლის ნოემბერში. 2021 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე პერიოდში შინამეურნეობების 5.8 პროცენტში ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით, 2020 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში - შინამეურნეობების 13.9 პროცენტში, ხოლო 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე პერიოდში - შინამეურნეობების 31.8 პროცენტში;

- 2021 წლის ნოემბერში შინამეურნეობების 8.8 პროცენტს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავალი. ამასთან, ამ შინამეურნეობების 16.8 პროცენტს შემოსავალი შეუმცირდა 50%-ზე მეტით. 2021 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე პერიოდში შინამეურნეობების 16.1 პროცენტს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავალი, 2021 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში - შინამეურნეობების 37.4 პროცენტს, ხოლო 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე პერიოდში - შინამეურნეობების 53.0 პროცენტს;
- შემოსავლის შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს COVID-19-ი და მასთან დაკავშირებული ძირითადი გარემოება, როგორიცაა კომპანიას/ბიზნესს, რომელშიც მუშაობდა ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს, შეუმცირდა მოთხოვნა (41.1%);
- შემოსავლების შემცირებასთან გამკლავების მიზნით შინამეურნეობები ყველაზე ხშირად მიმართავდნენ კვების გარდა სხვა საოჯახო ხარჯების შემცირებას (75.3%), დანაზოგების გამოყენებას (55.2%), კვებაზე ხარჯების შემცირებას (42.4%) და ფულის სესხებას მეგობრებისა და ნაცნობებისგან (34.1%);
- კითხვაზე რამდენად წუხხართ თქვენი შინამეურნეობის მომდევნო თვის ფინანსურ მდგომარეობაზე, რესპონდენტების 41.9%-მა განაცხადა, რომ ძალიან შეწუხებულია, 38.1% - ზომიერად შეწუხებულია, 13.0% - მეტ-ნაკლებად შეწუხებულია, 4.4% - უმნიშვნელოდ შეწუხებულია, ხოლო 2.5% - საერთოდ არ არის შეწუხებული.

3. COVID-19

- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში რესპონდენტების 28.4% ყოველთვის ახერხებდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან თავის არიდებას, 26.1% - ხშირად, 14.6% - ხანდახან, 16.4% - იშვიათად, ხოლო 14.5% საერთოდ ვერ ახერხებდა;
- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში, რესპონდენტთა 16.1% ყოველთვის ახერხებდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას ხალხისგან დისტანციის დაცვას, 37.2% - ხშირად, 24.6% - ხანდახან, 16.0% - იშვიათად, ხოლო 6.1% საერთოდ ვერ ახერხებდა;
- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში რესპონდენტების, რომლებიც იმყოფებოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, 86.1% ყოველთვის ატარებდა პირბადეს, 11.5% - ხშირად, 1.4% - ხანდახან, 0.7% - იშვიათად, ხოლო 0.3% - არასდროს ატარებდა;
- კითხვაზე COVID-19-თან დაკავშირებული რა ინფორმაციის ცოდნა სურთ ამჟამად, რესპონდენტების 10.3 პროცენტმა განაცხადა, რომ სჭირდებათ ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების შესახებ, ხოლო 76.0 პროცენტს არ სჭირდება COVID-19-თან დაკავშირებული რაიმე სახის ინფორმაცია;
- კითხვაზე რამდენად წუხხართ იმაზე, რომ თქვენ ან თქვენი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს, რესპონდენტების 49.6%-მა განაცხადა, რომ ძალიან შეწუხებულია, 32.2% - ზომიერად შეწუხებულია, 10.1% - მეტ-ნაკლებად შეწუხებულია, 3.5% - უმნიშვნელოდ შეწუხებულია, ხოლო 3.1% - საერთოდ არ არის შეწუხებული;
- რესპონდენტთა პროცენტული წილი, ვინც გაიკეთა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის ერთი დოზა მაინც და ჰქონდა გვერდითი მოვლენები, შეადგენს 36.9%. ამათგან, ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი გვერდითი მოვლენები, ლოკალური ტკივილი (37.2%), სიცხე (33.3%), დაქანცვა/დაღლილობა (32.2%) და სახსრების ტკივილი (24.2%);
- კითხვაზე გაიკეთებდნენ თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას (ვისაც არ ჰქონდათ გაკეთებული ვაქცინის არც-ერთი დოზა), რესპონდენტთა 6.6%-მა უპასუხა - ძალიან მოსალოდნელია, 25.9%-მა - მოსალოდნელია, 34.5%-მა - არ გადამიწყვეტია, 14.1%-მა - ნაკლებად მოსალოდნელია, ხოლო 18.5%-მა - თითქმის გამორიცხულია. ჯამში მათმა წილმა ვისაც არ გადაუწყვეტია, ნაკლებად მოსალოდნელია ან თითქმის გამორიცხულია, რომ გაიკეთოს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა შეადგინა 67.1%. შედარებისთვის ეს მაჩვენებელი 2021 წლის ოქტომბერში შეადგენდა 72.7%, ხოლო 2021 წლის აგვისტოში - 55.4%;
- მათგან ვისაც არ გადაუწყვეტია, ნაკლებად მოსალოდნელია ან თითქმის გამორიცხულია, რომ გაიკეთოს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, ყველაზე ხშირად ასახელებს შემდეგ მიზეზებს, როგორიაა, ვაქცინის გვერდითი მოვლენები - 46.4%, ვაქცინა ძალიან ახალია, სწრაფად შეიქმნა და საკმარისად არ არის გამოცდილი - 40.2%, ჯანმრთელობის არსებული პრობლემები - 27.4%, ვაქცინა იწვევს სიკვდილს ან უნაყოფობას - 15.4%, გამომუშავებული მაქვს იმუნიტეტი COVID-19-ის გადატანის შედეგად - 12.8% და ალერგია ზოგიერთ მედიკამენტზე - 6.1%;

- რესპონდენტების 16.6%-მა განაცხადა, რომ სჭირდებათ მეტი ინფორმაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ (2021 წლის ოქტომბერში რესპონდენტების 18.6%-მა განაცხადა იგივე, ხოლო 2021 წლის აგვისტოში, რესპონდენტების - 27.1%-მა). ამასთან, მათ ვისაც სჭირდებათ, ყველაზე მეტად აინტერესებთ რამდენად უსაფრთხოა (75.1%), რამდენად ეფექტურია (69.8%) და გვერდითი მოვლენები (44.5%).

4. ბავშვების განათლება

- 2-4 წლის ბავშვების მხოლოდ 59.7% და 2-5 წლის ბავშვების მხოლოდ 66.2% დადიოდა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული;
- 2021 წლის დეკემბერში, 2-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთად შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ 4 ან მეტ აქტივობაში[1] შეადგენდა 94.4% (89.9% - 2021 წლის ოქტომბერში და 97.8% - 2021 წლის მარტში). იმავე პერიოდში ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2-5 წლის ბავშვებისთვის შეადგინა 89.2% (91.9% - 2021 წლის ოქტომბერში და 97.8% - 2021 წლის მარტში);
- 2021 წლის დეკემბერში, 6-17 წლის ასაკის ბავშვების 71.7% ესწრებოდა სასწავლო პროცესს მხოლოდ საკლასო ოთახებში, 21.7% - მხოლოდ დისტანციურად, 5.0% - კომბინირებულად, ხოლო 1.5% საერთოდ არ ესწრებოდა სასწავლო პროცესს. აღნიშნული მაჩვენებელი დათვლილია იმ 6-17 წლის ასაკის ბავშვებიდან, რომლებიც დადიოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო ან სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ან ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს დისტანციურად 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული;
- რესპონდენტების, რომელთა შინამეურნეოების 6-17 წლის ასაკის ბავშვი ესწრებოდა რაიმე სახით საგანმანათლებლო პროცესს სკოლაში 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული, 97.3% თვლის, რომ ბავშვებისთვის სასურველი სწავლების ფორმა არის სასწავლო ოთახში სწავლება, 0.7% ასეთად თვლის დისტანციურ სწავლებას, ხოლო 1.6% - კომბინირებულ სწავლებას.

5. ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე

- შინამეურნეობების პროცენტულმა წილმა, რომლის ერთმა წევრმა მაინც ვერ მიიღო სამედიცინო მომსახურება გამოკითხვის (2021 წლის დეკემბერი) წინა 2 კვირის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სჭირდებოდა, შეადგინა 10.6% (11.3% - 2021 წლის ოქტომბერში და 5.1% - 2021 წლის ივნისში);
- შინამეურნეობების პროცენტულმა წილმა, რომლის ერთმა წევრმა მაინც ვერ შეძლო საჭირო მედიკამენტების მიღება, რადგან არ ჰქონდა ყიდვის შესაძლებლობა (მაღალი ფასის გამო) გამოკითხვის (2021 წლის დეკემბერი) წინა 2 კვირის განმავლობაში, შეადგინა 38.1% (35.2% - 2021 წლის ოქტომბერში და 37.9% - 2021 წლის ივნისში).

6. სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების[2] გამოყენება შინამეურნეობებში

- შინამეურნეობების წევრების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ იმ შინამეურნეობებში, სადაც საკვების მოსამზადებლად ძირითადად გამოიყენება სუფთა საწვავი და ტექნოლოგიები, შეადგენს 89.4% (89.0% - 2021 წლის მარტში). აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქად 97.8% (97.3% - 2021 წლის მარტში), ხოლო სოფლად 77.9% (77.3% - 2021 წლის მარტში) შეადგენს;
- შინამეურნეობების წევრების პროცენტული წილი, რომლებიც ცხოვრობენ იმ შინამეურნეობებში, სადაც ძირითადად იყენებენ სუფთა საწვავს და ტექნოლოგიებს საცხოვრისის გასათბობად, შეადგენს 66.5% (63.8% - 2021 წლის მარტში). აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქად 91.1% (88.4% - 2021 წლის მარტში), ხოლო სოფლად სულ რაღაც 33.2% შეადგენს (29.1% - 2021 წლის მარტში).

---

1 ილუსტრირებული წიგნების წაკითხვა ან დათვალიერება; ზღაპრების მოყოლა; სიმღერა, მათ შორის ძილის წინ; გარეთ სასეირნოდ გაყვანა; თამაში; ნივთების დასახელება, დათვლა ან ხატვა.

2 შედის ელექტრო ენერგია, თხევადი გაზი, ბუნებრივი გაზი და მათზე მომუშავე ტექნოლოგიები.